



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030498475482015

№ 04-155/ო

02 / ივნისი / 2015 წ.

**სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ
ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის
დამტკიცების თაობაზე**

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანების გათვალისწინებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქცია (დანართი N1);

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მონაცემების კორექტირების შესახებ განცხადების თანდართული ფორმა (დანართი N2);

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახში ვიზიტის შედეგად, სხვადასხვა გარემოებების დადგენის (აღწერის) მიზნით შესავსები წერილობითი აქტის ფორმა (დანართი N4);

დ) „ოჯახის საინფორმაციო ფურცელი“ მოცემული ნიმუშის შესაბამისად- (დანართი N5).

2. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს მიენიჭოთ უფლებამოსილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებისა და ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული

ინსტრუქციის შესაბამისად, უზრუნველყონ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა/შეფასება და შესაბამისი ფორმების („ოჯახის დეკლარაცია“, „ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი“, „წერილობითი აქტი“) შევსება:

ა) სოციალური აგენტი;

ბ) უფროსი სოციალური აგენტი.


3. ცალკეულ შემთხვევებში ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებ(ებ)ის მინიჭება შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოს დირექტორის სხვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ყველა ტერიტორიული ერთეულებისათვის დაგზავნა (გადაცემა).

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 31 მაისის N01/127-ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესით“ გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით და განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული ნორმატიული აქტებით დაკისრებული სამუშაოს შესრულების წესებსა და პირობებს;
2. წინამდებარე ინსტრუქციით და 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების პუნქტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, იხელმძღვანელოს ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. **სააგენტო** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო;
2. **ოჯახი** – ამ წესის მიზნებისთვის, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი. ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

ა) სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში)

დ) ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასული პირი;

ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

ვ) სპეციალიზირებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი.

3. **შინასამეურნეო საქმიანობა** – ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და მიღებული საშუალებების (ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.) ერთობლივ განკარგვას;
4. **ოჯახის წევრი** – პირი, რომელიც მუდმივად, მაგრამ არანაკლებ სამი თვის განმავლობაში, ცხოვრობს ამ ოჯახის ფაქტობრივ საცხოვრებელ ფართზე და მასთან ერთად ეწევა შინასამეურნეო საქმიანობას;
5. **მამიებელი ოჯახი** – სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახი, რომელიც საჭიროებს სოციალურ დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები და რომელსაც შეესაბამება აქვს განაცხადის ფორმა;
6. **ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი** – ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის წევრები ანდობენ, დაადასტუროს „ოჯახის დეკლარაციაში“ შესატანი მონაცემები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
7. **ოჯახის დეკლარაცია (ან დეკლარაცია)** – სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს ოჯახის შემადგენლობაში მყოფი წევრების, ოჯახის შემოსავლებისა და კომუნალური დანახარჯების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს, რომლებიც ასახავს ოჯახის ფაქტობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საჭიროა ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად;
8. **სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა** – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკითხვის (ინტერვიუების) შედეგად დაფიქსირებული მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობა;
9. **სააგენტოს უფლებამოსილი პირი** – პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესის შესაბამისად, ოჯახში ვიზიტის დროს, ინტერვიუებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად ახორციელებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას;
10. **ინტერვიუება** – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, ვიზიტის დროს, მამიებელი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ჩატარებული გამოკითხვა, ოჯახის შესახებ საჭირო ინფორმაციის დადგენის და/ან დაზუსტების მიზნით;
11. **განაცხადი** - დადგენილი ნიმუშის დოკუმენტი, რომელსაც ავსებს ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის აღრიცხვაზე ასაყვანად, ან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი გადამოწმებისათვის (შეფასებისათვის), ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გასაუქმებლად;
12. **შეწყვეტის ოქმი** - ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ;
13. **წერილობითი აქტი** - სპეციალური ფორმის დოკუმენტი რომელიც ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახში ვიზიტის შედეგად სხვადასხვა გარემოებების დადგენის (აღწერის) მიზნით (დანართი N4);
14. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესში“.

მუხლი 3. ზოგადი ინსტრუქცია

1. ოჯახის იდენტიფიკაცია და/ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა ხორციელდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ.
2. ოჯახის იდენტიფიკაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციის მოპოვებას:

- 2.1 ობიექტური ინფორმაცია მიიღება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სააგენტოში არსებული მონაცემების (მათ შორის სხვადასხვა ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან (ორგანიზაციებიდან) მიღებული მონაცემები), ოჯახის საცხოვრებელი პირობების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად;
- 2.2 სუბიექტური ინფორმაცია გულისხმობს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემთა ერთობლიობას. ინტერვიუების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს ოჯახის სხვა ინფორმირებული წევრ(ებ)იც.
3. ოჯახში ვიზიტამდე, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოიძიოს ოჯახის შესახებ მისთვის აუცილებელი ინფორმაცია მონაცემთა ბაზიდან, ამასთანავე უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი სხვა წყაროდან (მაგ. მეზობლებისგან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სხვა წყაროებიდან ოჯახის შემადგენლობის, შემოსავლების, სახელმწიფო საზღვრის კვეთის, უძრავი და მოძრავი ქონების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ) და ინტერვიუების პროცესში შეადაროს იგი ოჯახის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას;
4. ოჯახის განაცხადში მითითებულ მისამართზე ვიზიტის დროს სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ განაცხადში ოჯახის მისამართი სწორადაა მითითებული, რისთვისაც შეუძლია ისარგებლოს მეზობლების ან აღნიშნული მისამართის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციით;
5. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნდება, რომ იმყოფება სწორ მისამართზე, მაგრამ შეუძლებელია კომუნიკაციის დამყარება ოჯახის წევრ(ებ)თან, ვიზიტი უნდა გაგრძელდეს (ან დაიგეგმოს განმეორებით) იმ პირ(ებ)ის თანდასწრებით, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილი კომუნიკაციის შესაძლებლობას ოჯახის წევრებთან;
6. ოჯახის დეკლარაცია ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახში ვიზიტის დროს.

მუხლი 4. სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტი ოჯახში.

1. ოჯახში ვიზიტისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
 - 1.1 ოჯახს წარუდგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს თავისი უფლება-მოვალეობები, განუმარტოს შესასრულებელი სამუშაოსა და ვიზიტის სპეციფიკა, მიზანი და მნიშვნელობა;

მაგ. „გამარჯობათ, მე გახლავართ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი პეტრე პავლიაშვილი. ჩემი ვიზიტის მიზანია, მოვახდინო თქვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა/შეფასება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
 - 1.2. ოჯახის თანხმობის შემთხვევაში, დაათვალიეროს საცხოვრისი, ოჯახის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული უძრავი ან მოძრავი ქონება, ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ოჯახის დეკლარაციის სრულყოფილად შევსებისათვის;
 - 1.3. გააცნოს და ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს დაუტოვოს ოჯახის საინფორმაციო ფურცელი.
 - 1.4. შეხვდეს და გაესაუბროს ოჯახის წევრებს (სასურველია ყველას), რათა შეიქმნას ზოგადი შთაბეჭდილება მოცემული ოჯახის შესახებ;
 - 1.5. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ოჯახს დაუსვას ისეთი კითხვები, რომლებიც დეკლარაციაში არ არის მოცემული.
2. წაუკითხოს ოჯახს დეკლარაციის პირველ გვერდზე „სავალდებულო პირობების“ გრაფაში არსებული ინფორმაცია და დამატებით გააცნოს დეკლარაციის შევსებისა და ხელმოწერის შედეგად წარმომოხილი უფლებები და მოვალეობები:

- 2.1. სააგენტოს უფლებამოსილ პირს მიაწოდოს მაქსიმალურად სწორი და ამომწურავი ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
 - 2.2. შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება-მოვალეობების განხორციელებისათვის სათანადო პირობები, არ შეუქმნას დაბრკოლებები და/ან არ შეუშალოს ხელი მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში (ასეთ გარემოებად განიხილება, მაგ. ოჯახის საცხოვრებელში შესვლის, საცხოვრებლის რომელიმე ადგილის დათვალიერებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი საბუთ(ებ)ის განზრახ დამალვა და სხვა);
 - 2.3. არ მოახდინოს სააგენტოს უფლებამოსილ პირზე რაიმე ზემოქმედება მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით;
 - 2.4. დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს ერთი თვისა, აცნობოს სააგენტოს ოჯახში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ან დემოგრაფიული ცვლილების შესახებ;
 - 2.5. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შემთხვევაში, აცნობოს სააგენტოს ოჯახის წევრის სამ თვეზე მეტი ვადით საზღვრის კვეთის თაობაზე. სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
3. სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტისას ინტერვიუს დაწყებამდე, ოჯახის წევრებმა უნდა დაასახელონ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელთანაც წარიმართება ინტერვიუ. სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება არ აქვს, ჩაერიოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის არჩევის საკითხში. საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა განმარტოს, რომ სასურველია ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლად დასახელდეს პირი, რომელიც სხვაზე მეტად ფლობს ინფორმაციას ოჯახის შესახებ;
 4. თუ ოჯახი ვერ იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილი წარმომადგენლის არჩევის შესახებ, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, განუმარტოს ოჯახს, რომ უფლებამოსილი პირის დასახელება აუცილებელი პირობაა ოჯახის შეფასების პროცედურის წარმართვისათვის და წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებული იქნება შეწყვიტოს ვიზიტი და შეავსოს შეწყვეტის ოქმი, რის შედეგადაც შეწყდება ოჯახის რეგისტრაციის პროცედურა მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასეთ შემთხვევაში, ივსება შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკი და გრაფაში „სხვა“ უნდა დაფიქსირდეს მიზეზი – „ოჯახი ვერ ასახელებს უფლებამოსილ წარმომადგენელს“ *(ამ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი არ ანხორციელებს სამ ვიზიტს)*;
 5. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტისას ვერ მოხერხდა ოჯახის მიერ დასახელებულ უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, განახორციელოს განმეორებითი ვიზიტი (არანაკლებ სამი ვიზიტი ერთი თვის განმავლობაში) ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შესახვედრად;
 6. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამი ვიზიტის განხორციელების შემდეგ ვერ შეძლებს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრას, ივსება შეწყვეტის ოქმი დადგენილი წესით;
 7. სააგენტოს უფლებამოსილი პირი, არ არის ვალდებული მისცეს პირადი ტელეფონის ნომერი უფლებამოსილ წარმომადგენელს ან ოჯახის რომელიმე წევრს. მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ოჯახს გადასცეს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის საკონტაქტო ტელეფონის ან/და სააგენტოს ცხელი ხაზის ნომერი (ნომრები).

მუხლი 5. დეკლარაციის შევსების წესი.

1. ოჯახის შესახებ მოპოვებული სუბიექტური და ობიექტური ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შეიტანება ოჯახის დეკლარაციაში;

2. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის დეკლარაცია უნდა შეივსოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხებზე დაყრდნობით. პროცესში შესაძლებელია მონაწილეობას იღებდეს ოჯახის სხვა ინფორმირებული წევრ(ებ)იც;
3. ოჯახის დეკლარაციაში მონაცემები შეიტანება გარკვევით, ბურთულიანი კალმის გამოყენებით. შევსებას ექვემდებარება დეკლარაციის ყველა საჭირო გრაფა;
4. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დეკლარაციის შევსებამდე ოჯახს უნდა გააცნოს (წაუკითხოს) ოჯახის დეკლარაციის პირველ გვერდზე „სავალდებულო პირობების“ გრაფაში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად, და საჭიროების შემთხვევაში, მისცეს დამატებითი განმარტება აღნიშნულ საკითხებზე;
5. დეკლარაციის პირველ გვერდზე უნდა დაფიქსირდეს სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, სამსახურებრივი კოდი, ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საფოსტო ინდექსი, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სხვა საკონტაქტო მონაცემები (ბინის ტელეფონი, მობილურის ნომერი და სხვა); სააგენტოს უფლებამოსილი პირი ქ. თბილისის შემადგენლობაში შემავალ სოფლებში (*აგარაკი, ახალდაბა, ბეთანია, გლდანი, დიდგორი, დიდება, დიდი ლილო, დილომი, ვარკეთილი, ვეძისი, ზაჰესი, თელომანი, თხინვალა, კვესეთი, კიკეთი, კოჯორი, ნასაგური, ოქროყანა, პატარა ლილო, ტაბახმელა, ფონიჭალა, ქოშივორა, შინდისი, წავკისი, წინუბანი, წყნეთი*) დეკლარაციის შევსებისას, ოჯახის დეკლარაციის პირველ გვერდზე ბლოკში-„ოჯახის მისამართი და საკონტაქტო მონაცემები“, გრაფაში - „სოფელი“ მიუთითებს შესაბამისი სოფლის დასახელებას.
6. დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირი სვამს შეკითხვას, თანახმაა თუ არა ოჯახი დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაიგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება ოჯახის რეგისტრაციისა და სოციალური დახმარების შესახებ. მიღებული პასუხი ფიქსირდება შესაბამის გრაფაში (საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია განმარტოს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებები შეეხება ოჯახის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა: ქულის მინიჭება, რეგისტრაციის გაუქმება, საარსებო შემწეობის დანიშვნა, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა და სხვა).

მუხლი 6. ბლოკი „A“ ოჯახის საცხოვრებელი

1. ოჯახის დეკლარაციის „A“ ბლოკის – „**ოჯახის საცხოვრებელი**“ შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ზუსტად უნდა განუმარტოს ოჯახს, თუ რა იგულისხმება „ოჯახის“ ცნებაში. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი რესპონდენტისაგან ამჩნევს ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან გაერთიანების მცდელობას, მაშინ, აღნიშნული ფაქტის დაზუსტების მიზნით, მან უნდა შეამოწმოს ოჯახის თითოეული წევრის საცხოვრებელი პირობები (მაგ. საძინებლები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა), თუ როგორ ხდება მარაგების შენახვა და განაწილება, ცხოვრობენ თუ არა ისინი ერთ საცხოვრისში და აქვთ თუ არა საერთო სამზარეულო, საერთო მრიცხველი, საერთო შესასვლელი და ა.შ. არსებობს თუ არა, ოჯახის წევრების საერთო თანაცხოვრებისათვის დამახასიათებელი სხვა პირობები და გარემოებები (საცხოვრებლის მისამართი შესაძლებელია (დასაშვებია) არ ემთხვეოდეს ოჯახის წევრის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ნაჩვენებ რეგისტრაციის მისამართს);
2. დეკლარაციის „A1“ პუნქტზე **„ცხოვრობს თუ არა საცხოვრისში ოჯახთან ერთად სხვა ოჯახი“** დადებითი პასუხის შემთხვევაში, ივსება „A2“ პუნქტი, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, დეკლარაციის შევსება გრძელდება „A3“ პუნქტიდან;
3. დეკლარაციის „A2“ – **„საცხოვრისში ოჯახთან ერთად კიდევ ვისი ოჯახი ცხოვრობს და რა მიმართებაშია ის ოჯახის უფროსთან“** პუნქტის შევსებისას, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ერთ საცხოვრისში მოცემულ ოჯახთან ერთად ცხოვრობს სხვა ოჯახი (მაგ. ეს შეიძლება იყოს მშობლების, შვილების, ნათესავების ან არანათესავების ოჯახი და ა.შ.) სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დამატებითი გამოკითხვის საშუალებით,

გადაამოწმოს ხელოვნურად ხომ არ იყოფა ან ერთიანდება ოჯახი და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინოს ინფორმაციის ასახვა დეკლარაციის ამ ბლოკში;

4. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არასწორად უთითებს ოჯახის შემადგენლობას (ოჯახის ხელოვნური დაყოფა ან გაერთიანება) და სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი ან გაერთიანებული, მაშინ უფლებამოსილ წარმომადგენელთან შესაბამისი ახსნა-განმარტებების ჩატარებისა და თანხმობის მიღების შემთხვევაში, უნდა შეავსოს „ოჯახის დეკლარაცია“, სადაც დაფიქსირდება ოჯახის რეალური შემადგენლობა (დაყოფის/გაერთიანების გარეშე);
5. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება ოჯახის ხელოვნურად დაყოფა/გაერთიანების ფაქტს, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი წყვეტს დეკლარაციის შევსებას და ავსებს შეწყვეტის ოქმს დადგენილი წესით.
6. დეკლარაციის „A3-A4-A5-A6“ პუნქტების შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პირადად შეამოწმოს ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყლისა და დასუფთავების დანახარჯის ამსახველი ქვითრები და ამოწეროს სააბონენტო ნომრები. თუ მაძიებელ ოჯახს სააბონენტო ნომერი არა აქვს, შესაბამის გრაფაში ჩაიწერება ციფრი „0“;

მაგალითი

A3.	ელექტროენერჯიაზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი
	თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
7 2 4 3 5 6 9	

A4.	ბუნებრივ გაზზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი
	თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
0	

A5.	წყლის დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი
	თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
7 2 4 3 5 6 9	

A6.	დასუფთავების დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი
	თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“

7. ნაქირავები/ნაგირავები საცხოვრისის ან კოლექტიური მოხმარების მრიცხველების შემთხვევაში, „A3-A4-A5-A6“ პუნქტების შევსებისას უნდა მიეთითოს ის სააბონენტო ნომრები, რომელზეც ოჯახის მიერ ხორციელდება ფაქტიური ხარჯის გაწევა. თუ შეუძლებელია ასეთი სააბონენტო ნომრების მოძიება, მაშინ შესაბამის გრაფაში ჩაიწერება ციფრი „0“;
8. „A7“ პუნქტის - **„ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა უძრავ ქონებას ფლობთ“** - შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიყენოს ოჯახის საცხოვრებელი პირობების (მ.შ. ეზოს) დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ამასთანავე, უფლება აქვს გამოიყენოს დამატებითი წყაროებიდან (სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან, ადგილობრივი თვითმმართველობა, უბნის ინსპექტორი, მეზობელი, ახლომდებარე მაღაზიის გამყიდველი, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ა.შ.) მიღებული ინფორმაცია ოჯახის სარგებლობაში არსებული სხვა უძრავი ქონების შესახებ. თუ ოჯახს გააჩნია ჩამოთვლილი ნაგებობებიდან რამდენიმე, შემოიხაზება ყველა პასუხის შესაბამისი კოდი;
9. **“A8” პუნქტის – „ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართობი“** შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დეკლარაციაში უნდა დააფიქსიროს ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კვადრატული მეტრის მითითებით. თუ ოჯახი ცხოვრობს ნაქირავებ/ნაგირავებ ბინაში და არ არის დარწმუნებული თუ რამდენ ფართობს იკავებს ზუსტად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ჩაწერს იმ მონაცემებს, რომელსაც დააფიქსირებს ოჯახის წევრი და აღნიშნული ინფორმაცია ჩაითვლება სანდოდ. შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი შეავსებს ოჯახის დეკლარაციის F ბლოკის შესაბამის გრაფას.
10. **“A9” პუნქტის – „ჩაწერეთ რამდენი ოთახია თქვენი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში სულ (სამზარეულოს, დერეფნის, სააბაზანოს, ტუალეტის და სხვა დამხმარე სათავსოების გარდა)“** – შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა მიუთითოს იმ ოთახების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებლად, მათ შორის მისაღები ოთახი (ე. წ. „ზალა“), საძინებელი, ლოჯია. დაკავებული ოთახების რაოდენობაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი არ გაითვალისწინებს დერეფანს, ტუალეტს, სააბაზანოს ან სხვა დამხმარე სათავსოს (მაგ. სხვენი, ავტოფარეხი, სამზადი/მარანი, სამეურნეო ნაგებობა, სარდაფი, კომერციული ფართი, დაუმთავრებელი ნაგებობა/ფართი). სააგენტოს უფლებამოსილი პირი პირადად დაათვალიერებს და შეამოწმებს ოთახების რაოდენობას, იქ არსებულ ნივთებს და ინვენტარებს და შესაბამის გრაფაში მიუთითებს ოთახების ჯამურ რაოდენობას. (მაგ. 4 ოთახი).
11. **“A10” პუნქტის – „ძირითადად რა მასალის არის იატაკი საცხოვრებელ ნაწილში (ფართში)“** – შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი დაათვალიერებს ოთახებს და გრაფაში მიუთითებს შესაბამის კოდს. თუ ყველა ოთახში ან ოთახების უმეტეს ნაწილში არის პარკეტი, შემოხაზავს „1“ კოდს. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელ ფართში/ნაწილში იატაკი შედგება პარკეტისა და ბეტონისგან, მაგრამ ძირითადი ნაწილი (მაგ. ერთ ოთახში პარკეტი, დანარჩენ 2 ოთახში - ბეტონი) ბეტონისგან, სააგენტოს უფლებამოსილი პირი შემოხაზავს ბეტონის აღმნიშვნელ კოდს „4“. თუ საცხოვრებელ ფართში იატაკი შედგება ჩამოთვლილისგან განსხვავებული სხვა მასალისგან, შემოიხაზება კოდი „6“.

12. „A11“ პუნქტის - „ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა საცხოვრებელს (ბინას, სახლს, აგარაკს)“ - შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აუხსნას ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ სხვა საცხოვრებელში იგულისხმება ყველა ის უძრავი ქონება (მრავალსართულიან კორპუსში, ან ერთ ან მეტ სართულიან განცალკევებულად მდგომ სახლში), რომელიც არის ოჯახის რომელიმე წევრის კანონიერ საკუთრებაში (შესაძლებელია სხვა დასახლებულ პუნქტში, ქალაქში ან სოფელში) და არის დაკეტილი და/ან გადაცემული სხვისთვის დროებით სარგებლობაში). ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.
13. „A12“ პუნქტის - „ჩაწერეთ სხვა საცხოვრებლ(ებ)ის მთლიანი ფართობი“ - სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიუთითებს ოჯახის უფლებამოსილი წევრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ძირითადი საცხოვრისი გარდა საკუთრებაში არსებული ბინის, სახლის, აგარაკის ფართობს მ²-ში. თუ ოჯახს საკუთრებაში გააჩნია ერთზე მეტი ბინა, სახლი, აგარაკი, მიუთითებს ჯამურ ფართობს. მაგ. თუ ოჯახი ფლობს 1 ბინას (მრავალსართულიან შენობაში/კორპუსში) 50 მ² და 1 სახლს (ერთ ან მეტ სართულიან განცალკევებულად მდგომ შენობას) 100 მ²-ს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი შემოხაზავს კოდს „1“ და მიუთითებს 150 მ²-ს. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უფლება აქვს ინფორმაცია ოჯახის რომელიმე წევრის არსებული ბინის, სახლის, აგარაკის შესახებ მოიძიოს სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებებიდან (მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან). ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში. ამ წესის მიზნებისთვის, აგარაკი წარმოადგენს ოჯახის რომელიმე წევრის საკუთრებაში არსებულ სარეკრეაციო მიზნებისთვის სეზონურად და/ან დასასვენებლად, გამოყენებად უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთზე მდგომ სახლს), რომელიც მდებარეობს სხვა დასახლებულ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩაითვლება სანდოდ.

მაგ. გიორგი გიორგაძეს თბილისში ძირითადი საცხოვრებლის (შინამეურნეობის) გარდა, აქვს 35 მ² ბინა 3-სართულიან კორპუსში დაკეტილი ხაშურში, ასევე 60 მ² სახლი მიწის ნაკვეთზე ბაკურიანში, რომელსაც ოჯახი იშვიათად იყენებს დასასვენებლად. ასეთ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია შემოხაზოს კოდი „1“ (ბინა/სახლი) და მიუთითოს 35 მ², ასევე შემოხაზოს კოდი „2“ (აგარაკი) და ჩაწეროს - 60 მ².

14. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.

მუხლი 7. ბლოკი „B“ - ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები

- დეკლარაციის „B“ ბლოკი - „ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები“ ივსება ყველა წევრზე, ახალშობილებისა და მოცემულ მომენტში ოჯახიდან დროებით (დეკლარაციის შევსების მომენტში არა უმეტეს 3 (სამი) თვის ვადით) წასული წევრების ჩათვლით;
- თუ ოჯახის რომელიმე წევრი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა აღნიშნული პირი უნდა დააფიქსიროს დეკლარაციაში, როგორც ოჯახის წევრი;

3. ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის წევრებად არ გაითვალისწინება:
 - 3.1. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;
 - 3.2. იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;
 - 3.3. ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);
 - 3.4. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;
 - 3.5. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;
 - 3.6. სპეციალიზირებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი;
 - 3.7. სტუდენტი, რომელიც სხვა დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს;

მაგ. სტუდენტი სწავლობს და სწავლის პერიოდში ცხოვრობს თბილისში ნათესავის/ნაქირავებ ბინაში, ხოლო მისი მშობლები ცხოვრობენ ქუთაისში. თუ განაცხადი შეტანილი აქვს ორივე - ქუთაისში და თბილისში მცხოვრებ - ოჯახს, სტუდენტი უნდა დაფიქსირდეს თბილისში შევსებულ დეკლარაციაში.

- 3.8. პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მხოლოდ პერიოდულად მოდის ოჯახში (მუდმივად მცხოვრებში არ გაითვალისწინება ის პირი, რომელიც 3 თვეზე მეტი ხნით არის გასული ოჯახიდან).
4. სასურველია, დეკლარაციის პერსონალური ნაწილი შეივსოს უშუალოდ დეკლარაციაში დასაფიქსირებელი პირ(ებ)ის გამოკითხვის შედეგად. თუ პერსონალური ნაწილის შევსება ვერ ხერხდება გამოკითხვის მომენტში რომელიმე წევრის არყოფნის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დააზუსტოს ნამდვილად არის თუ არა ეს პიროვნება ოჯახის წევრი და აღნიშნულ პიროვნებასთან დაკავშირებით მონაცემები მიიღოს ოჯახის ყველაზე უფრო ინფორმირებული სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრისაგან უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით ან უშუალოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხებზე დაყრდნობით;
5. თუ სააგენტოს უფლებამოსილ პირს ეჭვი ეპარება დეკლარაციის შევსების მომენტში ადგილზე არმყოფი ოჯახის წევრის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეში, იგი ვალდებულია მოითხოვოს ამ პიროვნებასთან შეხვედრა და მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია;
6. ოჯახის არასრულწლოვანი წევრების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნას ყველაზე უფრო ინფორმირებული წევრისაგან (მშობელი, მეურვე/მზრუნველი და ა.შ.), უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით ან უშუალოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხებზე დაყრდნობით;
7. დეკლარაციის „B1“ პუნქტში – „**ბიოგრაფიული მონაცემები**“ – ოჯახის წევრების მონაცემების შეტანა უნდა მოხდეს ასაკის კლების რიგითობით (პირველი ფიქსირდება ყველაზე უფროსი წევრი, შემდეგ ასაკით მომდევნო წევრ(ებ)ი და ა. შ.). პერსონალური მონაცემები ცალკეული პიროვნების შესახებ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა ჩაწეროს ჰორიზონტალურად (ჯერ ცხრილში მოცემული ყველა კითხვა უნდა შეავსოს პირველ რესპონდენტზე, შემდეგ - გადავიდეს მეორე რესპონდენტზე და ა.შ.), ამასთან:
 - 7.1. ასაკის გრაფაში უნდა მიეთითოს დეკლარაციის შევსების მომენტისათვის შესრულებულ წელთა რიცხვი. თუ დეკლარაციის შევსების მომენტში ოჯახის წევრს არ შესრულებია ერთი წელი, მაშინ იწერება „0“;
 - 7.2. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პირადად შეამოწმოს თითოეული წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა) ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოიწეროს სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი. ამასთანავე, აუცილებლად უნდა შეამოწმოს პირადობის

- დამადასტურებელი დოკუმენტის ვალიდურობა (ძალაში ყოფნის თარიღი) და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს ამ პუნქტით განსაზღვრული პროცედურები;
- 7.3. სახელი და გვარი უნდა მიეთითოს ზუსტად ისე, როგორც ჩაწერილია შესაბამის დოკუმენტში ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. დაუშვებელია მეტსახელის ან სახელის მოფერებითი ფორმით მითითება (მაგ. გიორგის შემთხვევაში გოგა, გოგი და ა.შ.);
- 7.4. თუ ოჯახის რომელიმე არასრულწლოვან წევრს გააჩნია დოკუმენტი, რომელშიც არ არის მითითებული პირის პირადი ნომერი (მაგ. სხვა ქვეყანაში გაცემული დაბადების მოწმობა), მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკს და განუმარტავს ოჯახს, რომ მომდევნო ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა და სხვა), რომელშიც მითითებული იქნება ამ წევრის პირადი ნომერი.
- 7.5. თუ ოჯახის რომელიმე წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საბუთი, ან არსებულ საბუთში არ არის მითითებული პირადი ნომერი, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეწყვიტოს დეკლარაციის შევსება და შესაბამისი ახსნა-განმარტების შემდეგ, დაიწყოს შეწყვეტის ოქმის შევსების პროცედურა;
8. **„B2“, „B3“, „B4“ და „B5“ პუნქტების შევსებამდე ცხრილის მეორე სტრიქონში – „ოჯახის წევრის სახელი“** სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა ჩამოწეროს ოჯახის წევრების სახელები. წევრების სახელები გადმოტანილ უნდა იქნეს „B“ ცხრილიდან ისეთივე თანმიმდევრობით, რომ ორივე ცხრილში ოჯახის ერთსა და იმავე წევრს ერთი და იგივე ნომერი შეესაბამებოდეს;
9. **„B2“ პუნქტში – „ოჯახის უფროსი“** უნდა ჩაიწეროს თუ შინამეურნეობის რომელი წევრი არის ოჯახის უფროსი;
10. **„B3“ პუნქტში – „ფიზიკური მდგომარეობა“** ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ დეკლარაციაში ჩამოთვლილი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისი კოდები. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს (ვიზუალურად), რომ ფიზიკური პირის მდგომარეობა შეესაბამება დეკლარირებულს. ამასთან, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:
- 10.1. პირები, რომელთაც რაიმე ავადმყოფობის გამო დროებით შეზღუდული აქვთ გადაადგილება (მოტეხილობის, კეთილსაიმედო ავადმყოფობის ან სხვა) არ მიეკუთვნებიან კატეგორიებს: „სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი“ და/ან „დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს“;
- 10.2. გრაფაში „მემუშური დედა“(ერთ წლამდე ბავშვით) უნდა დაფიქსირდეს ყველა შემთხვევა, როცა ოჯახის წევრებად ფიქსირდება დედა ერთ წლამდე ასაკის ბავშვით;
11. **ფიზიკური მდგომარეობის „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“** – დასაფიქსირებლად სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ ოჯახის წევრის მდგომარეობა ნამდვილად შეესაბამება ამ კატეგორიას, რაც აუცილებლად უნდა დასტურდებოდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტ(ებ)ით (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა), რომელ(ებ)შიც მითითებულია:
- 11.1. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლებიც მიმდინარეობს გულის ქრონიკული უკმარისობით (I50) (III – IV ფუნქციური კლასი „NYHA“) და სტაბილური სტენოკარდიით (I20.8) (III – IV ფუნქციური კლასი „CCS“);

11.2. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლის დროსაც რეკომენდებულია აუცილებელი ინტერვენციული ჩარევები (ოპერაციები გულზე, სტენტირება, რითმის წამყვანის – პეისმეიკერის, გულშიდა დეფიბრილატორის იმპლანტაცია);

11.3. სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები

- ასთმა **J45.0-J45.9**;
- ფილტვის არტერიის პირველადი და მეორადი ჰიპერტენზია **I27.0, I27.2**;
- ცისტური ფიბროზი პულმონური მანიფესტაციით **E84.0**
- კიფოსკოლიოზი **M41**;
- სიმსუქნე ალვეოლური ჰიპოვენტილაციით **E66.2**
- ვეგენერის გრანულომატოზი **M31.3**;
- პოლიარტერიტი ფილტვის დაზიანებით (ჩარჯ-სტროსის სინდრომი) **M30.0**;
- ფილტვის სხვა ინტერსტიციული ავადმყოფობები ფიბროზით **J84.1**;
- ნეირომუსკულური პრობლემები (მიასთენია გრავის და სხვა მიონევრული დაავადებები - **G70.0-G70.9**,
- გიენ-ბარეს სინდრომი - **G61.0**;
- მოტორული ნეირონების დაზიანება **G12.0-G12.9**, მათ შორის ვერდნიგ-ჰოფმანის დაავადება)
- პოლინეიროპათია **G63**,
- პოლიომიელიტი, კუნთების პირველადი დაზიანებანი **G71.0- G71.9**,
- მიქსედემა **E00.0**;
- ემფიზემა - **J43**
- ფილტვების სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები **J44**;
- ბრონქოექტაზური დაავადება **J47**;
- ფილტვის ავადმყოფობები გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით **J60 - J68**;
- ობლიტერაციული ბრონქიოლიტი, ფილტვების ფიბროზი **J68.4**;
- ქრონიკული და სხვა ფილტვისმიერი გამოვილენებები გამოწვეული რადიაციით, რადიაციის შემდგომი ფილტვის ფიბროზი **J70.1**;
- ფილტვების ქრონიკული ინტერსტიციური დაზიანებები მედიკამენტოზური **J70.3**
- ალვეოლური და პარისო-ალვეოლური დაზიანებები (ალვეოლური პროტეინოზი, ალვეოლური მიკროლითიაზი) **J84.0**
- ფიბროთორაქსი **J94.1**;
- ფილტვის რევმატოიდული დაავადება **J99.0**;
- რესპირაციული დარღვევები შემაერთებელი ქსოვილის სხვა დიფუზური დაზიანებების დროს **J99.1**;
- ფილტვების სარკოიდოზი **D86.0**;
- ფილტვების სარკოიდოზი ლიმფური კვანძების სარკოიდოზთან ერთად **D86.2**
- ჰისტოციტოზი X **D76.0**
- სუნთქვის უკმარისობა დაუზუსტებელი **J96.9**
- გართულებული სუნთქვის ქრონიკული უკმარისობით (**J96.1**);

11.4. თირკმლის ქრონიკული დაავადება III (N18.3), IV (N18.4), V (N18.5) სტადია;

- 11.5. ონკოლოგიური, მათ შორის, ონკოჰემატოლოგიური დაავადებები (C00-C97), რომლებიც საჭიროებენ სპეციფიურ ონკოლოგიურ მკურნალობას: ქირურგიულ, მედიკამენტურ, რადიოთერაპიულ ან პალიატიურ მკურნალობას;
 - 11.6. შაქრიანი დიაბეტი – ნებისმიერი ტიპის, რომელიც საჭიროებს მკურნალობას ორალური ან საინექციო ანტიდიაბეტური მედიკამენტებით, მათ შორის, ინსულინით;
 - 11.7. ქრონიკული ჰეპატიტი „B“ ან „C“;
 - 11.8. ღვიძლის ციროზი;
 - 11.9. ეპილეფსია;
12. თუ ოჯახის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არ არის აღნიშნული ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადება, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს, ხომ არ შეესაბამება ოჯახის წევრ(ებ)ის ფიზიკური მდგომარეობა დეკლარაციის „B3“ პუნქტის – „ფიზიკური მდგომარეობა“ სხვა რომელიმე პუნქტს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსიროს შესაბამის გრაფაში;
13. თუ ოჯახის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არ არის მითითებული ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადება ან ოჯახს არ გააჩნია სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა არ უნდა დააფიქსიროს ფიზიკური მდგომარეობის – „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“ – შესაბამისი კოდი და აუხსნას ოჯახს:
- 13.1. თუ დეკლარაციის შევსების თარიღიდან 90 დღის განმავლობაში ოჯახი ტერიტორიულ ერთეულში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV–100/ა), სადაც მითითებული იქნება ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მონაცემების კორექტირება და სარეიტინგო ქულის გადათვლა არსებული წესით;
- 13.2. თუ შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება დეკლარაციის შევსების თარიღიდან 90 დღის გასვლის შემდეგ, დადგენილი წესით განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამეორებითი შეფასება;

მაგ. ოჯახი აღნიშნავს, რომ მისი ერთ-ერთი წევრი არის ონკოლოგიური ავადმყოფი და საჭიროებს ქიმიოთერაპიის კურსი ჩატარებას, მაგრამ ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთ შემთხვევაში, ფიზიკური მდგომარეობის – „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“ – შესაბამისი კოდი არ შემოიხაზება. დეკლარაცია განთავსდება ბაზაში ამ ფორმით და დაითვლება სარეიტინგო ქულა. თუ დადგენილ ვადაში

(დეკლარაციის შევსებიდან 90 დღე) ოჯახი წარმოადგენს დაავადების დამადასტურებელ დოკუმენტს, მოხდება ოჯახის დეკლარაციაში კორექტირების შეტანა და სარეიტინგო ქულის გადათვლა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი აღნიშნულ დოკუმენტს წარმოადგენს დეკლარაციის შევსებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ, განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამეორებითი შეფასება.

14. თუ ოჯახის რომელიმე წევრს შეესაბამება „B3“ პუნქტში ჩამოთვლილი ორი ან მეტი ფიზიკური მდგომარეობა, შემოიხაზება ყველა შესაბამისი მდგომარეობის ამსახველი კოდი.“
15. დეკლარაციის „B4“ პუნქტის - „სპეციალური სტატუსი და კატეგორია“ შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ ამ გრაფების შევსება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში. ხოლო, დოკუმენტ(ებ)ის არარსებობის შემთხვევაში, შემოიხაზება ამ პუნქტის კოდი „1“ – „სპეციალური სტატუსი არ გააჩნია“;
16. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა პირადად უნდა შეამოწმოს სტატუსის/კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. სახელდობრ:
 - 16.1. მკვეთრად ან მნიშვნელოვნად (I ან II ჯგუფი) გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (ინვალიდობა) – სამედიცინო ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;
 - 16.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი – სამედიცინო ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;
 - 16.3. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – ბავშვის დაბადებისა და მშობლების გარდაცვალების მოწმობები;
 - 16.4. მარტოხელა დედა (პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე ან ქვრივია და ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი) – ქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების მოწმობა (მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში), ბავშვის დაბადების მოწმობა;
 - 16.5. დეკლარაციის „B4“ პუნქტში „სპეციალური სტატუსი და კატეგორია“ გრაფებში: „მარტოხელა პენსიონერი სოციალური პაკეტის მიმღები“, გაითვალისწინება სახელმწიფო პენსიის, სოციალური პაკეტის და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები. ამასთან, აღნიშნული კატეგორიის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ უნდა გადამოწმდეს სააგენტოში დაცული მონაცემების გათვალისწინებით.
17. დეკლარაციის „B4“ ნაწილში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ უნდა შემოიხაზოს ოჯახის თითოეული წევრის ყველა დადასტურებული სტატუსის/კატეგორიის შესაბამისი კოდი;
18. დეკლარაციის „B5“ პუნქტის – „ინფორმაცია სრულწლოვანი შვილების შესახებ“ – შევსებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, აუხსნას ოჯახს, რომ აქ იგულისხმება ოჯახის წევრის სრულწლოვანი შვილ(ებ)ი, რომელიც დამოუკიდებლად, ოჯახის გარეთ ცხოვრობს ცალკე ოჯახად. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი წევრის ქვეშ უნდა ჩაიწეროს ოჯახისაგან დამოუკიდებლად მცხოვრები შვილების რაოდენობა;

მაგ. თუ ცოლ-ქმარს ჰყავთ დამოუკიდებლად სხვა მისამართზე მცხოვრები ორი შვილი, მაშინ შვილების რაოდენობა - 2 მიეთითება როგორც დედის, აგრეთვე მამის გრაფის ქვეშ, ხოლო თუ ცოლ-ქმარს შორის მხოლოდ ერთ-ერთს ჰყავს შვილი, მაშინ მხოლოდ ამ მშობლის შესაბამის გრაფაში ჩაიწერება შვილების რაოდენობა, ხოლო მეორე მშობლის გრაფაში - ციფრი „0“.

19. დეკლარაციის „B5“ პუნქტში შვილების რაოდენობის მითითებისას არ გაითვალისწინება პირ(ებ)ი რომელიც:

- 19.1. იმყოფება სამედიცინო ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში (თავმსაფარში, პანსიონატში და სხვა);
- 19.2. მოთავსებულია სასჯელადსრულების დაწესებულებაში და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;
- 19.3. არის ფსიქიურად დაავადებული.

მუხლი 8. ბლოკი „C“ – ოჯახის წევრთა განათლება და შემოსავლები

1. დეკლარაციის „C“ ბლოკი – შემოსავლები“ უნდა შეივსოს ოჯახის ყველა წევრზე. სასურველია ოჯახის ცალკეული წევრის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნეს ამ წევრთან უშუალო გასაუბრების შედეგად. სასურველია ოჯახის ცალკეული წევრის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა მიიღოს ამ წევრთან უშუალო გასაუბრების შედეგად. თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდება ოჯახის რომელიმე წევრთან გასაუბრება, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ინფორმაცია მიიღოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან ან ოჯახის ინფორმირებული ქმედუნარიანი წევრისაგან, უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით;
2. დეკლარაციის „C1“ პუნქტის კითხვაზე – „რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადის შინამეურნეობის წევრი მიმდინარე (გასულ) აკადემიურ წელს“ შევსებისას – სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შემოხაზოს შესაბამისი კოდი ოჯახის ყველა არასრულწლოვან (18 წლამდე) ასაკის წევრზე, ხოლო „C2“ პუნქტის - „განათლების მიღწეული დონე“ შევსებისას – უნდა შემოხაზოს შესაბამისი კოდი ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე.
3. „C1“ და „C2“ პუნქტებში ყოველ წევრზე უნდა შემოხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი.
4. დეკლარაციის „C3“ პუნქტის – „პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (ლარი)“ შევსებისას:
 - 4.1. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელს უნდა განუმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ კანონით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვის შემდეგ, ხელზე მიღებული თანხა ან ის თანხა, რომელიც წინა მეორე თვეში უნდა მიეღო და ჯერ არ მიუღია, მაგრამ მომავალში მიიღებს;
 - 4.2. „C3“ კითხვის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფების შევსების დროს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელს აცნობს ინფორმაციას ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიღებულ მონაცემთა ბაზასა და სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და ავსებს შესაბამის გრაფ(ებ)ას;
5. „C3“ კითხვის გრაფაში **“ხელფასი** (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)” წინა მეორე თვეში მიღებულ ან მისაღებ შემოსავალში იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტში ორი თვის წინ (ათვის პირველ თვედ ითვლება დეკლარაციის შევსების წინა თვე) - ხელზე მიღებული თანხა. ან ის თანხა, რომელიც წინა თვეში უნდა მიეღო და ჯერ არ მიუღია, მაგრამ მომავალში მიიღებს;
 - 5.1. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გრაფაში უთითებს შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებულ ინფორმაციას. თუ ოჯახი დეკლარაციის შევსებიდან 90 დღის განმავლობაში წარმოადგენს შემოსავლების სამსახურიდან ცნობას ხელფასის განსხვავებული ოდენობის შესახებ, დეკლარაციის ამ გრაფის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში) განხორციელდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, ამ წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

მაგ. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, ოჯახში ვიზიტი განახორციელა ივლისის თვეში. ოჯახის დეკლარაციის „C3“ პუნქტის პირველ გრაფაში უნდა დააფიქსიროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელშიც მითითებულია მასის თვეში ოჯახის წევრის მიერ მიღებული ხელფასი.

- იმ შემთხვევაში, თუ „C3“ კითხვით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი წარმოადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად რაიმე სახის ფულად სოციალურ გასაცემელს, აღნიშნული დეკლარაციაში უნდა ჩაიწეროს უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით;
- ოჯახის თითოეული წევრისათვის შემოსავლის ყოველი კატეგორიის გასწვრივ უნდა ჩაიწეროს შემოსავლის ოდენობა ლარებში. თუ წევრს არ აქვს მოცემულ კატეგორიაში შემოსავალი, მაშინ შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ციფრი „0“, ხოლო თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს დებულობს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაიწერება მის მშობელს ან ოჯახის იმ წევრს, რომელიც ამ დახმარების კანონიერი მიმღებია;
- თუ ოჯახის განაცხადში ოჯახის წევრთა შესახებ მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამება დეკლარაციის შევსების მომენტში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი განსხვავებულ ოჯახის წევრ(ებ)ზე დეკლარაციის „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფებს ავსებს სააგენტოში დაცული ინფორმაციის საფუძველზე;
- „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფები (ველები) ივსება სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე და სხვა ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით (შედარებით);
- თუ განაცხადზე „ოჯახის დეკლარაცია“ ივსება განაცხადების სიის ფორმირების თვის მომდევნო თვეს, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფებს ავსებს ტერიტორიულ ერთეულში დაცული ინფორმაციის გათვალისწინებით;

მაგ. თუ ოჯახს განაცხადი გაკეთებული აქვს 10 ივნისს, განაცხადზე სიის ფორმირების თვე არის ივნისი, ხოლო რეაგირება ხორციელდება ივლისის თვეში, მაშინ „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფებში ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს ივლისის თვეში ტერიტორიულ ერთეულში დაცული ინფორმაციის გათვალისწინებით მასის თვის მდგომარეობით.

- „C3“ პუნქტის მე-2 გრაფაში - „შემოსავალი კერძო საქმიანობიდან“ უნდა დაფიქსირდეს წინა მეორე თვეში ოჯახის მიერ კერძო საქმიანობიდან მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავალი ლარებში;
- „C3.“ პუნქტის მე-3 გრაფაში - „სახელმწიფო პენსია“ სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიუთითებს ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები პენსიის შესახებ. ამასთან, ინფორმაცია მოწმდება და ივსება სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზასთან შედარებით;
- „C3.“ პუნქტის მე-4 გრაფაში - „სოციალური პაკეტი“ უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია სოციალური პაკეტის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახის თითოეული წევრი;
- „C3.“ პუნქტის მე-5 გრაფა - „სახელმწიფო კომპენსაცია“ - უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია სახელმწიფო კომპენსაციის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახის თითოეული წევრი;

15. „C3“ პუნქტის მე-6 გრაფაში „სტიპენდია“ - უნდა ჩაიწეროს ოჯახის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში ან სხვა ტიპის სასწავლებელში სტუდენტისათვის ან მოსწავლისათვის განკუთვნილი წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები სტიპენდია;
16. „C3“ პუნქტის მე-7 გრაფაში „ალიმენტი“ - უნდა ჩაიწეროს იმ ოჯახის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია თანხის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახი სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;
17. „C3“ პუნქტის მე-8 გრაფა „დენილთა შემწეობა“ - უნდა ჩაიწეროს იმ თანხის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები ოდენობა, რომელიც დანიშნული აქვს ოჯახის თითოეულ წევრს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ;
18. „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში „ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა“ – ფიქსირდება ოჯახის თითოეული წევრისთვის განკუთვნილი წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები მისი წილი თანხის ოდენობა. ხოლო ოჯახის არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში მისი წილი თანხის ოდენობა უნდა დაუფიქსირდეს ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან წევრს (არსებობის შემთხვევაში სასურველია მშობელს, ან კანონიერ წარმომადგენელს).

მაგ. ოჯახი შედგება ორი წევრისგან (პელაგია, ჯემალი) ოჯახი იღებს საარსებო შემწეობას. ხელახალი გადამოწმების შემთხვევაში დეკლარაციის „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში თითოეულ წევრის გასწვრივ დაუფიქსირდება მისი წილი თანხის ოდენობა.

- 18.1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში „ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა“ დააფიქსიროს საარსებო შემწეობის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები ოჯახის წევრისთვის განკუთვნილი წილის ოდენობა იმ შემთხვევაშიც, თუ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღება შეუჩერდა განმეორებითი გადამოწმების გამო და არ აქვს მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულა;

მაგ. თუ ოჯახი იანვრის თვეში იღებდა საარსებო შემწეობას, თებერვალში შეუჩერდა და მარტში განხორციელდა განმეორებითი შეფასება, მაშინ მარტის თვეში შევსებულ დეკლარაციაში „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში „ფულადი სოციალური დახმარება-საარსებო შემწეობა“ უნდა დაფიქსირდეს იანვრის თვის შემწეობის თანხა.

- 18.2. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის წევრი ფიქსირდებოდა სხვა საიდენტიფიკაციო კოდზე და წინა მეორე თვეს მიღებული აქვს საარსებო შემწეობა, აღნიშნულ ოჯახის წევრს ახალ საიდენტიფიკაციო კოდზე შევსებულ დეკლარაციაში უნდა დაუფიქსირდეს წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები მისი წილი საარსებო შემწეობა.
- 18.3. ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში (გარდაცვალება/გასვლა) გამოკლებული წევრის წინა მეორე თვეში მიღებული ან მისაღები თანხის ოდენობა დეკლარაციაში არ ფიქსირდება.

მაგ.1. გიორგი გიორგაძე (35 წლის) და ნინო გიორგაძე (28 წლის) დაფიქსირებული იყვნენ საიდენტიფიკაციო კოდით: 010101010101 და სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე იღებდნენ საარსებო შემწეობას ორ წევრზე თვეში 100 ლარის ოდენობით. ნინო გიორგაძე გათხოვდა. დემოგრაფიული ცვლილების საფუძველით მისი მეუღლის გელა პეტრიაშვილის ფულადი დახმარების მიმღებ სამწევრიან ოჯახში, საიდენტიფიკაციო კოდით: 020202020202 აგვისტოს თვეში შეივსო ოჯახის დეკლარაცია. ნინო გიორგაძეს დეკლარაციის

„C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში „ფულადი სოციალური დახმარება-საარსებო შემწეობა“ უნდა დაფიქსირდეს ივნისის თვის შემწეობის თანხა **50 ლარი**, რომელიც მიღებული აქვს წინა მერე თვეში საიდენტიფიკაციო კოდზე: 010101010101. 010101010101 საიდენტიფიკაციო კოდის მეორე ოჯახში შევსებულ ახალ დეკლარაციაში უნდა დაფიქსირდეს გიორგი გიორგაძის მიერ წინა მერე თვეში მიღებული მისი წილი თანხის ოდენობა 50 ლარი.

მაგ.2 თანხის მიღებ მორწვერიან ოჯახს (კობა, ლალი) გაუუქმდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში ივნისის თვეში. ახალ საიდენტიფიკაციო კოდზე აგვისტოს თვეში შევსებულ დეკლარაციაში უნდა დაფიქსირდეს ოჯახის წევრების მიერ წინა მერე თვეში (ივნისი) აღებული მათი წილის შესაბამისი თანხის ოდენობა.

19. „C3“ პუნქტის მე-10 გრაფაში - „სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე“ - უნდა ჩაიწეროს ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმ თანხის ოდენობის შესახებ, რომელიც წინა მერე თვეს მიიღო ოჯახმა სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე დახმარების სახით და/რომლის ადმინისტრირებაც არ ხორციელდება სააგენტოს მიერ;
20. „C3“ პუნქტის მე-11 გრაფაში „სხვა სოციალური დახმარება“ - უნდა დაფიქსირდეს იმ სოციალური დახმარებ(ებ)ის ჯამური თანხა, რომელიც (რომლებიც) არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის სხვა გრაფებით (მათ შორის არ არის სარეიტინგო ქულაზე დამოკიდებული) და ოჯახი იღებს რეგულარულად (არაერთჯერადად);
21. „C3“ პუნქტის მე-12 გრაფაში „რეინტეგრაციის შემწეობა“ - უნდა ჩაიწეროს ოჯახის წევრის რეინტეგრაციის შემწეობისთვის გათვალისწინებული წინა მერე თვეს მიღებული თანხის ოდენობა.
22. „C3“ პუნქტის მე-13 გრაფაში „მინდობით აღზრდის შემწეობა“ - უნდა ჩაიწეროს მინდობით აღზრდისთვის ოჯახის მიერ წინა მერე თვეს მიღებული თანხის ოდენობა.
23. „C3“ პუნქტის გრაფაში - „სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი“ - უნდა ჩაიწეროს ის ფულადი შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული „C3“ პუნქტის სხვა რომელიმე გრაფით და აქვს არაერთჯერადი (რეგულარული) ხასიათი (მაგ. ქველმოქმედი ორგანიზაციიდან გრანტის სახით მიღებული თანხა ან კერძო კომპანიისგან მიღებული თანხა).

მაგ. თუ შემოსავალი არის რეგულარული, მაგრამ მისი მიღება არ ხდება ყოველთვიურად, უნდა დაფიქსირდეს ამ შემოსავლის ერთ თვეზე დაანგარიშებული ოდენობა. (მაგ. თუ სამ თვეში ერთხელ მაინც იღებს 300 ლარს, მაშინ 1 თვეზე დაანგარიშებით იქნება $300/3=100$ ლარი.)

- 23.1. „C3“ პუნქტის გრაფაში - „სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი“ არ ფიქსირდება ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ აღებული კრედიტი, სესხი ბანკიდან, ლომბარდიდან, ნაცნობ-მეგობრებისგან.
- 23.2. „C3“ პუნქტში შესაძლებელია ერთ პიროვნებაზე მიეთითოს ორი და მეტი სახის შემოსავალი. თუ ოჯახის რომელიმე წევრი იღებს ერთი და იგივე სახის შემოსავალს სხვადასხვა წყაროდან შესაბამის გრაფაში უნდა დაფიქსირდეს თანხის ჯამური ოდენობა.
24. დეკლარაციის „C4“ პუნქტის - „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში“- ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლები;

მაგ.1. ა) თუ ოჯახი აქირავებს ბინას თვეში 200 ლარად, მაშინ ბინის გაქირავებიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი იქნება 200X12=2400 ლარი. აღნიშნული ჯამური თანხა ფიქსირდება „C4“ პუნქტის მე-3 გრაფაში.
ბ) თუ ოჯახმა გაყიდა ავტომობილი, მაშინ მიღებული თანხა ფიქსირდება ოჯახის შემოსავლებში „C4“ პუნქტის მე-4 გრაფაში.

24.1. თუ რესპონდენტები ზუსტად ვერ იხსენებენ ოჯახის მიერ წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებს ან/და გაწეულ ხარჯებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა შეეცადოს გაახსენოს და მიიღოს მაქსიმალურად დაზუსტებული ინფორმაცია;

მაგ. რესპონდენტი აცხადებს, რომ ყოველთვიურად შინაური ცხოველების, ფრინველების ან მათი პროდუქციის გაყიდვიდან აქვს 30-40 ლარი შემოსავალი, მაშინ 1 გრაფაში უნდა დაფიქსირდეს თვეზე გადაანგარიშებით მინიმალური თანხის 12 თვეზე ნამრავლი ანუ 30X12=360 ლარი.
მაგრამ, თუ ოჯახი აზუსტებს, რომ ამ სახის შემოსავალი არ იყო რეგულარული და მას იღებდა მხოლოდ სეზონურად 5-6 თვის განმავლობაში, მაშინ დასახელებული მინიმალური თანხა უნდა გამრავლდეს მინიმალური თვეების რაოდენობაზე: 30X5=150 ლარი. აღნიშნული ჯამური თანხა ფიქსირდება „C4“ პუნქტის 1 გრაფაში.

24.2. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ამჩნევს (ან მისთვის უკვე ცნობილია), რომ ოჯახს გასული წლის განმავლობაში ჰქონდა ისეთი შემოსავალი, რის დეკლარირებაც ოჯახმა არ გააკეთა, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის შესახებ ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს და შეეცადოს დაიყოლიოს იგი, რომ ეს შემოსავლები დაფიქსირდეს დეკლარაციის „C4“ პუნქტის შესაბამის გრაფაში;

25. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მცდელობის მიუხედავად, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მაინც არ აკეთებს შემოსავლების სრულად დეკლარირებას, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა „C4“ პუნქტში უნდა შეიტანოს პასუხები და დეკლარაციის „F2“ – ბლოკში მიუთითოს კოდები 2 – „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“ და 2.1 – „ოჯახი მალავს შემოსავლებს“;

26. „C4“ პუნქტის შევსებისას არ გაითვალისწინება ნატურით მიღებული შემოსავალი და/ან ანაზღაურება და სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა შესაბამის გრაფაში უნდა ჩაწეროს ციფრი „0“;

მაგ. თუ პირი ნახირს მწყემსავს და სანაცვლოდ იღებს ხორბალს, რძის ნაწარმს ან სხვა სახის პროდუქტს, ასეთი შემოსავალი ოჯახის დეკლარაციაში არ უნდა აისახოს.

27. „C4“ პუნქტის მე-5 გრაფაში „ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან“ აღინიშნება თანხა, რომლითაც წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ოჯახს დაეხმარა ახლობელი/ახლობლები (ნათესავი, მეზობელი, მეგობარი და სხვა).

28. „C4“ პუნქტის მე-6 გრაფაში „ფულადი დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან“ უნდა აღინიშნოს ოჯახის მიერ წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან დახმარების სახით მიღებული ფულადი გზავნილები.

29. „C4“ პუნქტის მე-7 გრაფაში „სხვა არარეგულარული შემოსავალი“ - უნდა მიეთითოს ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ მიღებული შემოსავალი (მაგ. დახმარება ინდ. მეწარმეების ან იურიდიული პირების მიერ სამედიცინო ხარჯების დაფინანსების მიზნით, ან ლატარეაში მოგებული თანხა). სააგენტოს უფლებამოსილი პირი ჩაწერს მონაცემთა ბაზაში არსებულ და/ან ოჯახის უფლებამოსილი წევრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

მუხლი 9. ბლოკი „D“ – ოჯახის მიწა და სხვა ქონება

- სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, განუმარტოს ოჯახს, რომ დეკლარაციის „D1“ პუნქტის – „ფლობთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწას (იჯარით აღებულია და უფასო სარგებლობის ჩათვლით)“ - მიწის ფართობში იგულისხმება ოჯახის კანონიერ მფლობელობაში (საკუთრება, იჯარა, სარგებლობა ან სხვა ფორმით) არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. სააგენტოს უფლებამოსილი პირი დადებითი პასუხის შემთხვევაში შემოხაზავს კოდს „1“, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში „2“ კოდს. სააგენტოს უფლებამოსილს პირს, უფლება აქვს ინფორმაცია ოჯახის წევრ(ებ)ის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შესახებ მოიძიოს სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზიდან ან სხვა საჯარო საჯარო დაწესებულებებიდან (მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან). ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.
- „D1“ პუნქტზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, ივსება „D2“ პუნქტი - „ჩაწერეთ ოჯახის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (იჯარით აღებულია და უფასო სარგებლობის ჩათვლით) მთლიანი ფართობი“ - რომელზეც პასუხის გაცემისას, ოჯახმა უნდა მიუთითოს საკუთრებაში, ან კანონიერ სარგებლობაში ან მფლობელობაში (მათ შორის იჯარა ან უსასყიდლო სარგებლობა) არსებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი (ჰა). „D2“ პუნქტზე პასუხისას თუ ოჯახი მიწის ფართობებს უთითებს არა ჰექტრებში, არამედ სხვა სიდიდეში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პასუხი ჩაწეროს ჰექტრებში, ქვემოთ მოცემული ცხრილების დახმარებით:

(1ჰა=10 000მ²)

ოჯახის მიერ დეკლარირებული ფართობი	დეკლარაციაში უნდა ჩაიწეროს
100 (მ ²)	0.01 ჰა
3000 (მ ²)	0.3 ჰა
ერთი მეასედი	0.01 ჰა
ოცდაცამეტი მეასედი	0.33 ჰა
ხუთი მეასედი	0.05 ჰა

კვადრატული მეტრების ჰექტრებში გადასაყვანი ცხრილი:

კვ.მ	ჰა	კვ.მ	ჰა	კვ.მ	ჰა	კვ.მ	ჰა
5	0.0005	150	0.015	1200	0.12	3300	0.33
10	0.001	200	0.02	1300	0.13	3500	0.35
15	0.0015	250	0.025	1400	0.14	3600	0.36
20	0.002	300	0.03	1500	0.15	4000	0.4
25	0.0025	350	0.035	1600	0.16	4300	0.43

30	0.003	400	0.04	1700	0.17	4500	0.45
35	0.0035	450	0.045	1800	0.18	5000	0.5
40	0.004	500	0.05	1900	0.19	5500	0.55
45	0.0045	550	0.055	2000	0.2	6000	0.6
50	0.005	600	0.06	2100	0.21	6500	0.65
55	0.0055	650	0.065	2200	0.22	7000	0.7
60	0.006	700	0.07	2300	0.23	7500	0.75
65	0.0065	750	0.075	2400	0.24	8000	0.8
70	0.007	800	0.08	2500	0.25	8500	0.85
75	0.0075	850	0.085	2600	0.26	9000	0.9
80	0.008	900	0.09	2700	0.27	9500	0.95
85	0.0085	950	0.095	2800	0.28	10000	1
90	0.009	1000	0.1	2900	0.29	10500	1.05
95	0.0095	1050	0.105	3000	0.3	11000	1.1
100	0.01	1100	0.11	3100	0.31	11500	1.15

- დეკლარაციის „D3“ პუნქტზე – „გყავთ თუ არა ზრდასრული შინაური ფრინველი ან პირუტყვი“ - დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, ივსება დეკლარაციის „D4“ პუნქტი - „რა რაოდენობის შინაური ცხოველი და ფრინველი გყავთ?“, სადაც შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ოჯახის საკუთრებაში არსებული ზრდასრული (პროდუქტიული) შინაური ცხოველების/ფრინველების რაოდენობა. „D4“ პუნქტის შევსებისას არ გაითვალისწინება, ე.წ. მოზარდი შინაური ცხოველები/ფრინველები (ხბო, წიწილა და ა.შ.). D3“ პუნქტზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ უნდა შეივსოს „D4“ პუნქტის ყველა გრაფა და თუ ოჯახს რომელიმე სახეობის პირუტყვი ან ფრინველი არ ჰყავს, ჩაიწეროს ციფრი „0“;
- დეკლარაციის „D5“ პუნქტის - „მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი“-*(უცხოური (არასაბჭოთა) წარმოების მსუბუქი, სამგზავრო ან/და სატვირთო ავტომობილი; და/ან ტრაქტორი, კომბაინი ან/და თესლის ჩამყრელი აპარატი)* კითხვის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ყურადღებით უნდა გადაამოწმოს მიღებული პასუხების სისწორე და გაითვალისწინოს, რომ იგულისხმება, მხოლოდ მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი საგნების რაოდენობა, რომლითაც სარგებლობს ოჯახი (საკუთრებით, იჯარით, ქირით, თხოვებით ან ნებისმიერი სხვა ფორმით), მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა ეს საგნები ოჯახის რომელიმე წევრზე. თუ ოჯახი არ ფლობს მუშა მდგომარეობაში მყოფ რომელიმე საგანს, რომელიც ჩამოთვლილია დეკლარაციის „D5“ კითხვაში, აღნიშნული საგანის გასწვრივ გრაფაში იწერება ციფრი „0“.

5. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ „D5“ კითხვის ჩამონათვალით გათვალისწინებულ პასუხში – „ტრაქტორი, კომბაინი ან/და თესლის ჩამყრელი აპარატი“ არ იგულისხმება ოჯახის მფლობელობაში არსებული მოტო-ბლოკი. იხ სურათი:



6. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ „D5“ პუნქტის სვეტში - „ფლობს“ აღინიშნება მხოლოდ მუშა მდგომარეობაში მყოფი ხანგრძლივი მოხმარების საგნების რაოდენობა. თუ ოჯახი არ ფლობს ჩამოთვლილი, მუშა მდგომარეობაში არსებული საგნებიდან რომელიმეს, მაშინ შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ციფრი „0“;

მუხლი 10. ბლოკი „E“ - კომუნალური ხარჯები

- დეკლარაციის „E“ ბლოკში – „კომუნალური ხარჯები“ ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები. თუ ოჯახს ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და/ან დასუფთავების მოხმარებაზე გადასახადი არ გადაუხდია, იწერება ციფრი „0“;
- „E“ ბლოკის „E1“, „E2“, „E3“ და „E4“ პუნქტების შევსებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააფრთხილოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომ მოწოდებული ინფორმაცია გაწეული კომუნალური ხარჯების შესახებ გადამოწმდება და არსებითი განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში, ავტომატურად მოხდება ოჯახის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;
- თუ ოჯახს გააჩნია მოხმარებულ ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადასახადების ქვითრები, სოციალური აგენტი ვალდებულია, გადამოწმოს ისინი და დაითვალოს ბოლო 12 თვის განმავლობაში ჯამური გადასახადი. თუ ოჯახს არ გააჩნია ქვითრები, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა ჩაწეროს ის თანხა, რომელსაც ოჯახი დააფიქსირებს;

მაგ. ოჯახს არ გააჩნია წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადების ქვითრები, ამ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი სვამს შეკითხვას – „საშუალოდ რა თანხას იხდის ოჯახი თვეში სეზონური ცვალეზადობის გათვალისწინებით“. თუ ოჯახი აცხადებს, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში თვეში საშუალოდ იხდის 12-15 ლარს, ხოლო გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში 6-8 ლარს. ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის ხარჯის გრაფაში უნდა ჩაიწეროს მითითებული ოდენობების მინიმალური მნიშვნელობის საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი წლის თვეთა რაოდენობაზე: $(12+6)/2 \times 12 = 108$ ლარი.

თუ ოჯახი აზუსტებს, რომ ამ საცხოვრისში ცხოვრობს მხოლოდ 9 თვის განმავლობაში და მათგან 2 თვე გათიშული ჰქონდა ელექტროენერგია

გადაუხდელობის გამო, თვის საშუალო ოდენობა უნდა გამრავლდეს 7 თვეზე:
(12+6)/2 X 7=63 ლარი. შესაბამისად „E1“ გრაფაში მიეთითება 63 ლარი.

მუხლი 11. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხმობა

1. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების სრულად შევსების შემდეგ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად, შეამოწმოს შევსებული დეკლარაცია, რათა დარწმუნდნენ, რომ დეკლარაციის ყველა საჭირო კითხვაზე შემოხაზულია (ჩაწერილია) შესაბამისი პასუხი, დამატებით გადამოწმდეს დეკლარაციის შევსების მართებულობა, სისრულე და მხოლოდ ამის შემდეგ დააფიქსირებინოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს ხელმოწერა დეკლარაციის ყველა გვერდზე;
2. თუ შევსებული დეკლარაციის გადამოწმებისას აღმოჩენილი იქნება არასწორად შემოხაზული ან ჩაწერილი პასუხი, რომელიც მექანიკურად დაუშვა სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ან დაზუსტების მიზნით ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ითხოვს უკვე შემოხაზული (ჩაწერილი) პასუხის სხვა პასუხით შეცვლას, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გადახაზოს უკვე შემოხაზული პასუხი „X“ ნიშნით და ხელახლა შემოხაზოს/დააფიქსიროს სწორი პასუხი. ჩასწორებული პასუხი ხელისმოწერით უნდა დაადასტუროს ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩასწორების შეტანა დასაშვებია, თუ ჩასწორება ხელს არ უშლის შემოხაზული (ჩაწერილი) მონაცემის (პასუხის) ერთგვაროვან გაგებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩასწორების გაკეთება სადავოს და გაუგებარს ხდის შეტანილ (ჩაწერილ) მონაცემს (პასუხს), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეავსოს ახალი დეკლარაცია;
4. თუ სააგენტოს უფლებამოსილ პირს ეჭვი ეპარება, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დეკლარირებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას, იგი ვალდებულია, შეეცადოს შეასწორებინოს ისინი დამატებითი კითხვებისა და მოყვანილი ფაქტების საშუალებით. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ თანხმდება შესწორებაზე ან მიწოდებული ინფორმაციის შეცვლაზე, შეტანილი მონაცემები რჩება უცვლელი და დეკლარაციის „F2“ პუნქტის – „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“ შესაბამის გრაფაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უთითებს აღნიშნული უზუსტობის შესახებ;
5. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების შევსების დასრულების შემდეგ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციის ყველა შესაბამისი ფურცლის ბოლოს, რაც ადასტურებს:
 - 5.1. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია სრულად, შეესაბამება სიმართლეს და კისრულობს პასუხისმგებლობას მათ სისწორეზე;
 - 5.2. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი თანახმაა დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები შეტანილ იქნეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო.
6. სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს გადასცეს სააგენტოს მიერ შემუშავებული „ოჯახის საინფორმაციო ფურცელი“ (დანართ N5)

მუხლი 12. ბლოკი „F“ – სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის წევრების თანხმობის შემთხვევაში, ვალდებულია, ზოგადად დაათვალიეროს ოჯახის საცხოვრისი, ოთახები, სააბაზანო, სამზარეულო და ა.შ. და ამის შემდეგ დაიწყოს დეკლარაციის „F“ ბლოკის შევსება. აღნიშნული ღონისძიებები დაეხმარება სააგენტოს უფლებამოსილ პირს, გააკეთოს საკუთარი დასკვნები და მაქსიმალურად ობიექტურად შეავსოს დეკლარაციის „F“ ბლოკი;
2. დეკლარაციის „F“ ბლოკში მოცემული გრაფები ივსება ინდივიდუალურად, სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე და ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე, ე.ი. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს არ უნდა შეუთანხმოს „F“ ბლოკის პასუხები;
3. „F1“ პუნქტის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შემოხაზოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი სუბიექტური შეფასების მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი. ამასთან:
 - 3.1. **ღატაკად** შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, როცა ოჯახის წევრ(ებ)ს მძაფრად უდგათ შიმშილის პრობლემა, სხვისი დახმარების გარეშე არ შეუძლიათ მოიპოვონ ის მინიმალური საკვები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის (სიცოცხლის) შენარჩუნებისათვის, ან როცა ოჯახის წევრ(ებ)ს ძნელად თუ შეუძლიათ საკვების შეძენა. მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის იმ საკვების შეძენასაც კი, რაც საჭიროა შინამეურნეობის წევრების ნორმალური კვებისათვის;
 - 3.2. **ღარიბად** შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, როცა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთარი შემოსავლებით შეუძლიათ მხოლოდ საკვების შეძენა, მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის სხვა აუცილებელი საგნებისა თუ მომსახურების შეძენას (მაგ.: ხშირ შემთხვევაში, არ შეუძლიათ ისეთი აუცილებელი საგნების ყიდვა, როგორცაა წამლები, სახელმძღვანელოები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა);
 - 3.3. **საშუალო შეძლების** მქონედ შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, როცა ოჯახის წევრ(ებ)ი, აუცილებელი მოთხოვნილებების გარდა, მეტ-ნაკლებად იკმაყოფილებ(ენ)ს სხვა დამატებით მოთხოვნილებასაც (მაგ.: შესაძლებელია ზოგჯერ მოიძებნოს შინამეურნეობაში საშუალება იმისა, რომ გაწეულ იქნეს ხარჯები ოჯახის წევრის დასვენებაზე, სარემონტო სამუშაოებზე და სხვა);
 - 3.4. **მდიდრად** შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, როცა ოჯახის წევრ(ებ)ი მარტივად იკმაყოფილებ(ენ)ს ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნებს, აქვს საშუალება, შეიძინოს სხვადასხვა სახის საქონელი ან/და მომსახურება ოჯახის წევრ(ებ)ის კომფორტისათვის;
4. დეკლარაციის „F2“ პუნქტში - „**ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება**“ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა შემოხაზოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შესაბამისი პასუხის კოდი. ამასთან:
 - 4.1. მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შეფასების შესაძლო პასუხებიდან („სანდოა“, „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“) უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაფერისი პასუხი;
 - 4.2. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეგნებულად მაღავს სიმართლეს, მან უნდა შემოხაზოს პასუხი - „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“ და აღნიშნული დააზუსტოს ყველა შესაბამისი პასუხის კოდის შემოხაზვით (მაგ.: „მაღავს შემოსავლებს“, „მაღავს საცხოვრისს“, „არასწორად უთითებს წევრ(ებ)ის ფიზიკურ მდგომარეობას“ და ა.შ.);
 - 4.3. სააგენტოს უფლებამოსილი პირი დეკლარაციის ყველა ბლოკის სრულად შევსების შემდეგ გრაფაში - „დეკლარაციის შევსების თარიღი და დრო“ აღნიშნავს დეკლარაციის

შევსების თარიღს, ვიზიტის დაწყებისა და დასრულების დროს და ხელმოწერითა და ბეჭდით ადასტურებს დეკლარაციის შევსების დასრულებას;

მუხლი 13. ოქმის - „ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ“ შევსების წესი

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმს (შემდგომში – „შეწყვეტის ოქმი“) ავსებს იმ შემთხვევებში თუ:
 - 1.1. ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;
 - 1.2. ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი;
 - 1.3. ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;
 - 1.4. ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ ამღევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;
 - 1.5. ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;
 - 1.6. სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის სააგენტოს უფლებამოსილ პირს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, ან ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებაზე და მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე, ან როდესაც შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგ.: განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა). შეწყვეტის ოქმის გრაფა „სხვა მიზეზი“ ივსება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შემოტანისას განმცხადებელი ან მისი ოჯახის წევრ(ებ)ი მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია სხვა, უკვე რეგისტრირებული ოჯახის შემადგენლობაში, რის გამოც დუბლირდება მონაცემები და ვერ ხერხდება სარეიტინგო ქულის დათვლა.
2. შეწყვეტის ოქმში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი; ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ოქმის შევსების თარიღი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის 1.1. და/ან 1.2. ქვეპუნქტებით (ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული და/ან ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი) გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან ხელოვნურად გაერთიანების საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები. ოჯახის თანხმობის შემთხვევაში, ივსება ოჯახის დეკლარაცია ამ ცვლილების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივსება შეწყვეტის ოქმის შესაბამისი პუნქტ(ებ)ი და ოჯახს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის 1.3. ქვეპუნქტით (ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა) გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამი ვიზიტის განხორციელების შემდეგ ვერ შეძლებს ოჯახთან ან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრას. ამ შემთხვევაში შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის შესაბამისი გრაფა მოინიშნება მას შემდეგ, რაც სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სრულად იქნება შევსებული შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკი. ამ საფუძვლით შეწყვეტის ოქმის შევსებისას სააგენტოს პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

- 4.1. განხორციელებულ პირველ და მესამე ვიზიტებს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები;
- 4.2. შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღად უნდა მიეთითოს სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული მესამე ვიზიტის თარიღი;
- 4.3. „B“ ბლოკის თითოეული გრაფის შევსებისას სასურველია ფიქსირდებოდეს იმ პირის მონაცემები (სახელი, გვარი, კავშირი ოჯახთან (მეზობელი, ნათესავი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი ან სხვა)) და ხელმოწერა, რომელიც დაადასტურებს სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტის ფაქტს.
- 4.4. შეწყვეტის ოქმის ამ მუხლის პირველი პუნქტის 1.3. ქვეპუნქტით (ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა) გათვალისწინებული საფუძვლით შევსების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი დამატებით ავსებს შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის გრაფას „სხვა“, სადაც უნდა დაკონკრეტდეს შეწყვეტის ოქმის შევსების საფუძველი – „ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს“ თუ „ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა“;

მაგ.1 განაცხადში მითითებულ მისამართზე სამი ვიზიტის შემდეგ დადგინდა, რომ ოჯახი არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შემოიხაზება შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის მე-3 გრაფა, ხოლო მე-6 გრაფაში - „სხვა“ ფიქსირდება, რომ „ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს“, ოჯახს უუქმდება განაცხადი/რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში და ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული	1
ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი	2
ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;	3
ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;	4
ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;	5

სხვა	„ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს“	6
------	--	----------

მაგ.2. განაცხადში მითითებულ მისამართზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგ.: განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა). სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შემოიხაზება შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის მე-6 გრაფა - „სხვა“ სადაც ფიქსირდება, შესაბამისი მიზეზი, ოჯახს უუქმდება განაცხადი/რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში და ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული	1
ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი	2
ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;	3
ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;	4
ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;	5
სხვა განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს	6

- 4.4. თუ, სააგენტოს უფლებამოსილი პირის პირველი ვიზიტისას ვერ მოხერხდა ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკში დააფიქსიროს პირველი ვიზიტის თარიღი (ერთთვიანი ვადის ათვლის თარიღი) და ერთი თვის განმავლობაში დამატებით განახორციელოს არანაკლებ 2 ვიზიტი (ჯამში არანაკლებ სამი ვიზიტისა). ამავე დროს შეეცადოს თითოეული ვიზიტი დაადასტუროს ოჯახთან კავშირში მყოფმა პირმა.
- 4.5. თუ ერთთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, მაინც ვერ მოხერხდა ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს ოჯახის წევრებს, რომ ვინაიდან მიუხედავად სამი ვიზიტისა, ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა და ოჯახი ვერ ასახელებს სხვა უფლებამოსილ პირს, შეივსება შეწყვეტის ოქმი, რის შედეგადაც ოჯახს გაუუქმდება განაცხადი/რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში.

მაგ.1. რომელიმე ვიზიტის დროს ოჯახი ასახელებს სხვა პირს უფლებამოსილ წარმომადგენლად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს ოჯახის დეკლარაციას არსებული წესის მიხედვით;

მაგ.2. სამი ვიზიტის მიუხედავად, ოჯახი ვერ ასახელებს სხვა პირს უფლებამოსილ წარმომადგენლად, მაშინ შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკის სრულად შევსების შემდეგ შემოიხაზება „A“ ბლოკის მე-3 გრაფა - „ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან“

/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა“; ხოლო გრაფაში - „სხვა“ ფიქსირდება, რომ „ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა“ და ოჯახს უუქმდება რეგისტრაცია/განაცხადი მონაცემთა ბაზაში, ერთწლიანი შეზღუდვის გარეშე.

ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული	1
ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი	2
ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;	3
ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;	4
ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;	5
სხვა: ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა	6

4.6. თუ, უფლებამოსილი პირის სამი ვიზიტის მიუხედავად ვერ ხერხდება ოჯახის წევრ(ებ)თან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა, მაგრამ სხვადასხვა წყაროებიდან (მეზობლების, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია) დაადგინა, რომ ოჯახი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, (ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს წერილობით, რასაც ხელისმოწერით დაადასტურებს ინფორმაციის მომწოდებელი პირი (მეზობლ(ებ)ი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი)) მაშინ შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკის სრულად შევსების შემდეგ შემოიხაზება „A“ ბლოკის მე-3 გრაფა – „ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან /უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა“, ხოლო გრაფაში - „სხვა“ ფიქსირდება, რომ „ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა“ და ოჯახს უუქმდება რეგისტრაცია/განაცხადი მონაცემთა ბაზაში, ერთწლიანი შეზღუდვის გარეშე.

მაგ. I.

ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული	1
ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი	2
ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;	3
ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;	4
ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;	5
სხვა: ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან/უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა	6

5. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის, ოჯახის სხვა წევრ(ებ)ის, ან მესამე პირის მხრიდან ადგილი აქვს სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში ხელის შეშლას და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობას ივსება შეწყვეტის ოქმის შესაბამისი გრაფა და ოჯახს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

მაგ. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს საშუალებას, დაათვალიეროს საცხოვრისი, უმაღლეს მის მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართს, ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, არის აგრესიული და ქმნის სააგენტოს უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელშემშლელ პირობებს, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, თავაზიანად შეახსენოს ოჯახის წარმომადგენელს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ოჯახის მიერ, აუხსნას, რომ ასეთმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ოჯახის რეგისტრაციის გაუქმება მონაცემთა ბაზაში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვეტის ოქმის შევსება/არ შევსების შესახებ. თუ ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა კვლავაც განაგრძო სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის ხელის შეშლა, ივსება შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის მე-4 გრაფა მიზეზით - „ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას“ და ოჯახს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

8. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრს არ გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელი საბუთი (ან არსებულ საბუთში არ არის მითითებული პირადი ნომერი) დეკლარაციის შევსება ჩერდება და ოჯახს ეძლევა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ავსებს შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკს, რომელშიც უთითებს ოჯახის შესაბამისი წევრ(ებ)ის სახელსა და გვარს, სვამს ვიზიტის თარიღსა და ოჯახის გაფრთხილების თაობაზე ხელს აწერინებს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს.
9. თუ ოჯახი, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, სააგენტოს უფლებამოსილ პირს ვერ წარმოუდგენს პირადობის დამადასტურებელ შესაბამის საბუთ(ებ)ს, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაასრულოს შეწყვეტის ოქმის შევსება, კერძოდ:
- 9.1. შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის მე-5 გრაფაში შემოხაზოს შესაბამის მიზეზი (ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები);
 - 9.2. მიუთითოს შეწყვეტის ოქმის შევსების დასრულების თარიღი. ამასთან, შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკის შევსების (გაფრთხილების) თარიღსა და შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.
 - 9.3. ასეთ შემთხვევაში შევსებულ შეწყვეტის ოქმზე არ ვრცელდება რეგისტრაციაზე ერთწლიანი შეზღუდვა.

10. სააგენტოს პასუხისმგებელი პირი შეწყვეტის ოქმის შევსებას ადასტურებს ხელმოწერით. შეწყვეტის ოქმზე არ არის სავალდებულო ფიქსირდებოდეს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.
11. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად.
12. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ სააგენტო ვალდებულია წერილობით აცნობოს ოჯახს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების და/ან განაცხადის ძალადაკარგულად აღიარების შესახებ.

მუხლი 14. ოჯახის მონაცემების კორექტირება

1. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, დასაშვებია ოჯახის მონაცემებში ცვლილებების შეტანა დამატებითი შესწავლის გარეშე. ამასთან:
 - 1.1. დეკლარაციაში ოჯახში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილება აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ოჯახში დაიბადა, ან ოჯახმა იშვილა ბავშვი და დეკლარაციის შევსებიდან და ბავშვის დაბადებიდან (2 წლამდე ბავშვის შვილად აყვანიდან) არ არის გასული 2 წელზე მეტი. ამ შემთხვევაში მონაცემების კორექტირების ფორმაში უნდა დაფიქსირდეს დამატებული წევრ(ებ)ის მონაცემები (სახელი, გვარი, დაავადების თარიღი, პირადი ნომერი) და კორექტირება უნდა განხორციელდეს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. ამასთან, სარეიტინგო ქულის გადათვლისათვის ბრძანებაში გათვალისწინებული უნდა იქნას (არსებობის შემთხვევაში), დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია დამატებული ბავშვის შესახებ (ფიზიკური მდგომარეობა, სტატუსი/კატეგორია რაიმე სახის ფულადი გასაცემელი).
 - 1.2. თუ ცვლილება დაკავშირებულია მონაცემებთან, რაც გავლენას ახდენს რეგისტრირებული ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილებაზე, კორექტირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახმა სააგენტოს მომართა დეკლარაციის შევსებიდან 90 დღის განმავლობაში. ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილებაზე გავლენას ახდენენ დეკლარაციის ქვემოთ ჩამოთვლილ გრაფებში ასახული მონაცემები:
 - 1.2.1. „A7“ - „ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა უძრავ ქონებას ფლობთ“;
 - 1.2.2. „A8“ - „ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართობი“;
 - 1.2.3. „A9“ - „ჩაწერეთ რამდენი ოთახია თქვენი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში, სულ (სამზარეულოს, დერეფნის, სააბაზანოს, ტუალეტის და სხვა დამხმარე სათავსოების გარდა)“
 - 1.2.4. „A10“ - „ძირითადად რა მასალის არის იატაკი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ნაწილში“;
 - 1.2.5. „A11“ - „ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრებელის გარდა სხვა საცხოვრებელს“
 - 1.2.6. „A12“ - ჩაწერეთ სხვა საცხოვრებლ(ებ)ის მთლიანი ფართობი;
 - 1.2.7. „B1“ - ოჯახის წევრთა „სქესი“, „ასაკი“, „დაბადების თარიღი“;
 - 1.2.8. „B2“ - გრაფა „ოჯახის უფროსი“;
 - 1.2.9. „B3“ - „ფიზიკური მდგომარეობა“;
 - 1.2.10. „B4“ - „სპეციალური სტატუსი და კატეგორია“;
 - 1.2.11. „B5“ - „ინფორმაცია სრულწლოვანი შვილების შესახებ“;
 - 1.2.12. „C2“ - „განათლების მიღწეული დონე“;

- 1.2.13. „C3“ - „პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) წინა მეორე თვეში (ლარი)“;
- 1.2.14. „C4“ - „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში?“;
- 1.2.15. „D2“ - ჩაწერეთ ოჯახის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (იჯარით აღებულია და უფასო სარგებლობის ჩათვლით) მთლიანი ფართობი;
- 1.2.16. „D4“ - „რა რაოდენობის შინაური ცხოველი და ფრინველი გყავთ?“;
- 1.2.17. „D5“ - „მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი“
- 1.2.18. „E“ - „კომუნალური ხარჯები“;

2. ამ მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კორექტირება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კორექტირების განცხადებას თან ერთვის ოჯახში მომხადი ცვლილებ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ტერიტორიული ერთეულის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ოჯახის მიერ მოთხოვნილი კორექტირება, წინამდებარე ინსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოითხოვდეს დეკლარაციის სხვა პუნქტ(ებ)ში ცვლილებების შეტანას;

მაგ. 1. დეკლარაციის შევსებიდან 90 დღის განმავლობაში ოჯახმა განაცხადა, რომ აღარ ფლობს დეკლარაციის „A11“ პუნქტში - „ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა საცხოვრებელს“ - მითითებულ ბინას, „A7“ პუნქტში - „ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა უძრავ ქონებას ფლობთ“ - მითითებულ ავტოფარებს და „D5“ პუნქტში - „მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი“ - უცხოურ (არასაბჭოთა) მსუბუქ ავტომობილის. ოჯახმა კორექტირების განცხადებას თან დაურთო მხოლოდ ბინისა და ავტოფარების გასხვისების (გაყიდვის) დოკუმენტი (ნასყიდობის ხელშეკრულება, ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). ასეთ შემთხვევაში, კორექტირებას ექვემდებარება დეკლარაციის „A11“ და „A7“ პუნქტები, ხოლო „D5“ პუნქტი რჩება უცვლელი. ამასთან, „A11“ და „A7“ პუნქტების კორექტირებიდან გამომდინარე, აუცილებელია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება დეკლარაციის „C4“ პუნქტში - „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში“, რომლის მე-4 გრაფაში - „შემოსავალი ქონების გაყიდვიდან (ბინა, აგარაკი, მანქანა და სხვა)“ - უნდა დაფიქსირდეს ოჯახის მიერ ბინისა და ავტოფარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (თანხა).

- 3. მონაცემთა კორექტირების მიზნით, ოჯახის უფლებამოსილმა წევრმა უნდა შეავსოს განცხადება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მონაცემების კორექტირების შესახებ“ (დანართი N2), შემდგომში - „მონაცემების კორექტირების ფორმა“;
- 4. მონაცემების კორექტირების განცხადება შეიძლება შეივსოს, როგორც სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტისას, ასევე სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში მოქალაქის მომართვისას. შევსებას ექვემდებარება კორექტირების განცხადების ყველა შესაბამის გრაფა;
- 5. ოჯახის წევრ(ებ)ის დამატების შემთხვევაში მონაცემების კორექტირების ფორმაში უნდა დაფიქსირდეს დამატებული წევრ(ებ)ის მონაცემები (სახელი, გვარი, დაავადების თარიღი, პირადი ნომერი),
- 6. სარეიტინგო ქულასთან დაკავშირებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში:

- 6.1. მონაცემების კორექტირების ფორმის შესაბამის გრაფაში ჩაიწერება ოჯახის დეკლარაციის შევსების თარიღი და პერიოდი (დღეთა რაოდენობა), რომელიც გასულია ბოლო დეკლარაციის შევსებიდან;
- 6.2. სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, აუხსნას ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ აღნიშნული მონაცემების ცვლილება დასაშვებია ბოლო დეკლარაციის შევსებიდან 90 დღის განმავლობაში;
- 6.3. სვეტში - „არსებული მონაცემები“ მიეთითება კორექტირებამდე არსებული მონაცემ(ებ)ი, ხოლო სვეტში - „კორექტირებული მონაცემები“ მიეთითება კორექტირებული მონაცემ(ებ)ი.
7. შევსებული „მონაცემების კორექტირების ფორმა“ ხელმოწერით დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი პირის/წარმომადგენლისა (ოჯახის ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი) და სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ;
8. სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი პირი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებით (ოჯახში ვიზიტი, დამადასტურებელი საბუთის მოთხოვნა და ა.შ.) უნდა დარწმუნდეს ცვლილებების სინამდვილეში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახის მონაცემების კორექტირების შესახებ;
9. ოჯახის მონაცემების კორექტირება ხორციელდება სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოცემით.

მაგ. ოჯახი აცხადებს, რომ დეკლარაციის შევსების შემდეგ, ოჯახის ერთ-ერთ წევრს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ამოწმებს ოჯახის ბოლო დეკლარაციის შევსების თარიღს. თუ:

ა) დეკლარაციის შევსებიდან გასულია 90 დღეზე მეტი, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ოჯახს განუმარტავს, რომ აღნიშნული ცვლილების ასახვისათვის საჭიროა ოჯახის განმეორებითი შეფასების განხორციელება და ამისათვის გადასცემს შესაბამის განაცხადის ფორმას შესავსებად;

ბ) დეკლარაციის შევსებიდან არ არის გასული 90 დღეზე მეტი, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ავსებს მონაცემების კორექტირების ფორმას, რასაც თან უნდა დაურთოს წარმოდგენილი დოკუმენტის ასლი. ცვლილება განხორციელდება ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

10. თუ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შემდეგ, განსახორციელებელია იმ მონაცემების კორექტირება, რომლებიც გავლენას არ ახდენენ სარეიტინგო ქულაზე, ივსება განცხადება ოჯახის მონაცემების კორექტირების შესახებ. ამ შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა.

მუხლი 15. წერილობითი აქტის შევსების წესი

1. წერილობითი აქტი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახში ვიზიტს ახორციელებს დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით და შინამეურნეობის/ოჯახის დათვალიერების და გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახში ვიზიტისას არსებული მგომარეობა შეესაბამება დეკლარაციაში დაფიქსირებულ მონაცემებს.

2. ასეთ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეასვსოს წერილობითი აქტის შესაბამისი გრაფა (გადამოწმების შედეგად დადგენილი ინფორმაცია), სადაც დაწვრილებით უნდა დაფიქსირდეს ინფორმაცია ვიზიტის შედეგად მის მიერ დადგენილი გარემოების თაობაზე.
3. წერილობით აქტში მონაცემები შეიტანება გარკვევით, ბურთულიანი კალმის გამოყენებით. შევსებას ექვემდებარება ოქმის ყველა საჭირო გრაფა;
4. წერილობით აქტში შეიტანება ოჯახის მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, სამსახურებრივი კოდი;
5. წერილობითი აქტის შევსების დროს, სავალდებულოა ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრის ხელმოწერა;

მუხლი 16. სააგენტოს უფლებამოსილი პირის ქცევისა და ეთიკის ნორმები

1. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფილად შესწავლის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სააგენტოს უფლებამოსილი პირის უნარ-ჩვევებზე, ინტელექტზე,ზოგად განათლებაზე, ქცევის ნორმებზე, ეთიკაზე და პროფესიულ კვალიფიკაციაზე;
2. სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამუშაოს შესრულებისას უნდა გამოიყურებოდეს შეძლებისდაგვარად ესთეტიურად, მოკრძალებულად და პრეზენტაბელურად;
3. დაუშვებელია, ნასვამ ან ნაბახუსევ (არა ფხიზელ) მდგომარეობაში სამუშაოდ გასვლა;
4. დაუშვებელია, რომ სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამუშაოს ასრულებდეს სააგენტოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის გარეშე;
5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მოახდინოს პირადი სუბიექტური მოსაზრებებისა და შეხედულებების მაქსიმალური მინიმუმაცია, რათა მოპოვებული ინფორმაცია ასახავდეს ობიექტურ რეალობას;
6. დაუშვებელია, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მხრიდან მაძიებელ ოჯახთან ან ბენეფიციართან რაიმე გარიგებაში შესვლა, შემდგომში სოციალური დახმარების მიღების გარანტიების სანაცვლოდ;
7. ოჯახის მხრიდან ქრთამის შეთავაზების ან ამის შესახებ მინიშნების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააფრთხილოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომ მსგავსი ქმედება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით და ოჯახის მხრიდან აღნიშნულის განმეორების შემთხვევაში, იძულებული იქნება, აცნობოს შესაბამის ორგანოებს;
8. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა იყოს ზედმიწევნით თავაზიანი, უზრუნველყოს პოზიტიური დამოკიდებულება რესპონდენტთან, ეფექტური კომუნიკაციისა და მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მისაღებად;
9. დაუშვებელია ოჯახის წევრებთან ფამილარული დამოკიდებულება (სახელით ან „შენობით“ (მიმართვა), მიმართვისას ყოველთვის უნდა იქნეს გამოყენებული „თქვენობითი“ ფორმა და „ბატონო/ქალბატონო“;
10. დაუშვებელია, ინტერვიუს მსვლელობისას რაიმე სახით ოჯახის დაიმედება, ან ისეთი განწყობის შექმნა, რომ ოჯახი აუცილებლად მიიღებს სოციალურ დახმარებას (მაგ. „თქვენისთანა გაჭირვებული ჯერ არმინახავს ...“, „თუ თქვენ არა, აბა ვინ უნდა მიიღოს...“ და ა. შ.);
11. ოჯახის საცხოვრისის, ხანგრძლივი ან მოკლევადიანი საგნების დათვალიერებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს ნებართვა ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან თავაზიანი მიმართვით „თუ შეიძლება“, „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით“ და ა.შ. უარის შემთხვევაში, კატეგორიულად დაუშვებელია ქმედების თვითნებურად განხორციელება;

12. დაუშვებელია შეფასებითი ან აღწერითი დასკვნების ხმამაღლა გამოთქმა საცხოვრისის ვიზუალური დათვალიერებისას;
13. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა, სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად უნდა აიცილოს თავიდან კონფლიქტური სიტუაციები. კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ინტერვიუს ჩატარება, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია კონფლიქტის გადრმავეების თავიდან აცილების მიზნით, შეწყვიტოს ვიზიტი, განუმარტოს ოჯახს ხელახალი ვიზიტის აუცილებლობა და სიტუაციიდან გამომდინარე, მაქსიმალურად თავაზიანად დატოვოს ოჯახი;
14. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ოჯახის წევრების მიერ დასმულ იმ კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი, რომლებიც მხოლოდ მისი კომპეტენციის ფარგლებშია (დაუშვებელია პასუხის გაცემა კითხვებზე - თუ როგორ შეიძლება დაბალი სარეიტინგო ქულის მიღება, რა ახდენს გავლენას ქულის სიდიდეზე, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეთ და ა.შ.);
15. სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამუშაოს დასრულების შემდეგ თავაზიანად უნდა დაემშვიდობოს ოჯახს, მადლობა გადაუხადოს ოჯახს თანამშროლობისათვის და დატოვოს ოჯახი.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქციის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით

ივსება სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ	
ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი: □□□□□□□□□□□□	ტერიტორიული ერთეულის დასახელება:
შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): □□ □□ □□□□□□	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

განცხადება

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მონაცემების კორექტირების შესახებ

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი			
სახელი:	გვარი:	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): □□ □□ □□□□□□	პირადი ნომერი: □□□□□□□□□□□□

ოჯახში ბავშვის დამატება (შვილად აყვანა)				
N	სახელი	გვარი	დაბადების თარიღი <small>(რიცხვი/თვე/წელი)</small>	პირადი ნომერი
1			□□ □□ □□□□□□	□□□□□□□□□□□□
2			□□ □□ □□□□□□	□□□□□□□□□□□□
3			□□ □□ □□□□□□	□□□□□□□□□□□□
4			□□ □□ □□□□□□	□□□□□□□□□□□□
5			□□ □□ □□□□□□	□□□□□□□□□□□□

მონაცემების ცვლილება რომლებიც გავლენას ახდენენ ოჯახის სარეიტინგო ქულაზე <i>ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის დეკლარაციის შევსებიდან არ არის გასული 90 დღეზე მეტი.</i>	
დეკლარაციის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): □□ □□ □□□□□□	დეკლარაციის შევსებიდან გასულია □□ დღე
არსებული მონაცემები	კორექტირებული მონაცემები

გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული მონაცემების კორექტირება, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ/დემოგრაფიულ მდგომარეობასთან

ოჯახის უფლებამოსილი პირის/წარმომადგენლის ხელმოწერა

სააგენტოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

საფოსტო ინდექსი:

რეგიონი:

რაიონი/მუნიციპალიტეტი

მისამართი:

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი:

ოჯახის წევრის პირადი ნომერი:

გადამოწმების შედეგად დადგენილი ინფორმაცია

ოჯახის წევრის სახელი, გვარი

ოჯახის წევრის პირადი ნომერი

ხელმოწერა

სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი

უ.მ.პ. კოდი

ხელმოწერა

შევსების თარიღი:

რიცხვი

თვე

წელი

ოჯახის საინფორმაციო ფურცელი

ბატონო/ქალბატონო,

- მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნებისთვის, ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (საცხოვრებელი ადგილის ერთობლივი გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვება და ამ საშუალებების - ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილება).
- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის დეკლარაციაში მოცემულ კითხვებს პასუხი უნდა გასცეთ სრულყოფილად. დეკლარაციის შევსებაზე უარის შემთხვევაში, თქვენი ოჯახის განაცხადი გაუქმდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მიმართოს სააგენტოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით.
- თქვენს მიერ დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, თქვენი განაცხადი გაუქმდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. ოჯახი ვალდებულია, ოჯახში მომხდარი ცვლილებები, ამ ცვლილებებიდან ერთი თვის ვადაში შეატყობინოს სააგენტოს:
 - ოჯახის წევრის გარდაცვალება
 - ოჯახის წევრის დამატება
 - ოჯახის წევრის გამოკლება (გასვლა)
 - მისამართის ცვლილება
 - შემოსავლების მატება/კლება
 - უძრავი ქონების (ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი, კომერციული ფართი) ან მოძრავი ქონების შექმნა
 - სახელმწიფო საზღვრის სამ თვეზე მეტი ვადით კვეთა.
- ზემოაღნიშნულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოჯახი ჰკარგავს უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ამასთან, თუ სააგენტო დაადგენს, რომ ყალბი ინფორმაციის მოწოდების ან სხვა ნაკისრი ვალდებულებების შეუტყობინებლობის შედეგად, ოჯახმა მიიღო საარსებო შემწეობა, გადარიცხული თანხები ექვემდებარება დაბრუნებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- **დეკლარაციის ხელმოწერით თქვენი ოჯახი ადასტურებს, რომ თანახმაა:**
 - მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში (დილის 8:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე) დაუბრკოლებლად შეუშვას სააგენტოს უფლებამოსილი პირი საცხოვრებელ ბინაში, მისცეს მას საშუალება სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი, საერთო სარგებლობის სათავსოები, შეამოწმოს ყოფითი პირობები;
 - ობიექტური პასუხები გასცეს უფლებამოსილი პირის შეკითხვებს და არ დაამახინჯოს ფაქტები, მოთხოვნისამებრ, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს გამოკითხვის შედეგად შევსებულ დეკლარაციას, განსხვავებული აზრის არსებობისას დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები;
 - სააგენტომ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნებისთვის;
 - მიეცეთ ოჯახის შესახებ არსებული ინფორმაცია სხვა სოციალური დახმარების დამნიშვნელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რაც მიმართული იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;
 - სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო.
- **ოჯახს უფლება აქვს:**
 - გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;
 - მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა;
 - მოითხოვოს ამონაწერი მონაცემთა ბაზიდან;
 - გაასაჩივროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები;
 - ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

შეკითხვების ან საჩივრების შემთხვევაში, მიმართეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: [ტელ:15 05]